



**EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION**



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



MDF
მედიის განვითარების ფონდი

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედია მონიტორინგი

2010 წლის 26 თებერვალი – 4 მარტი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

რაოდენობრივი კვლევა

2010 წლის 26 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 12 ფაქტია მოკვლეული. ამ 12 ფაქტიდან 5 ნეგატიური გაშუქების მაგალითია, 2 პოზიტიურის, ხოლო 5 ნეიტრალური გაშუქების.

მოკვლეული 12 ფაქტიდან 11 ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა და 1 რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 11 ფაქტი ასე განაწილდა: 4 ნეგატიური, 2 პოზიტიური და 5 ნეიტრალური გაშუქება. რელიგიური გაშუქების 1 ფაქტი ნეგატიური ხასიათისა იყო.

საანალიზო პერიოდში უმცირესობები გააშუქა ექვსმა გაზეთმა 11 სტატიაში. ამ 11 სტატიაში მოკვლეული 11 ფაქტიდან 5 ნეგატიური შინაარსისა იყო, ერთი პოზიტიური და 5 ნეიტრალური. უმცირესობები გააშუქა მხოლოდ ერთმა ტელეარხმა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) მოკვლეული იქნა 1 პოზიტიური შინაარსის გაშუქების ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში (26 თებერვალი – 4 მარტი) მონიტორინგის ქვეშ მყოფ ხუთ ტელევიზიაში არც ერთი სიუჟეტი არ ეხებოდა რელიგიურ უმცირესობებს, ხოლო დღის განმავლობაში ამ ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 9 შეადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული სტანდარტის დარღვევების კლების ტენდენცია, რომელიც თითქოსდა წინა პერიოდებში გამოვლინდა, ისევ უარყოფითისკენ შებრუნდა და საანგარიშო პერიოდში ასეთი დარღვევების რაოდენობამ ხუთს მიაღწია. როგორც ჩანს, წინა პერიოდებში დარღვევების შემცირება ამ პერიოდებში უმცირესობების თემატიკაზე გამოქვეყნებული მასალების სიმცირის შედეგი იყო და არა რაიმე დადებითი ტენდენციის მაჩვენებელი. საანალიზო პერიოდში უმცირესობების დისკრიმინაციული გაშუქების ფაქტები მოკვლეული იქნა გაზეთებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ჯორჯიან ტაიმსი“ და „კვირის პალიტრა“.

თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

დისკრიმინაცია ეთნიკური/რელიგიური ნიშნით

1. გაზეთ „ალიაში“ №24 (2461); 4-5 მარტი, 2010, გამოქვეყნებული სტატია „სამყაროს აღსასრულის მოლოდინში რუსმა სექტანტებმა თავი გამოქვაბულს შეაფარეს“ წარმოადგენს რელიგიური უმცირესობების ნეგატიური გაშუქების მაგალითს.

„ნეტავ, ერთ ფაქტს თუ მაინც გაიხსენებთ, რომ სექტანტებს ვინმესთვის რაიმე დადებითი მოეტანოთ? სიმათლე გითხრათ, ჩვენ მსგავსი არაფერი გვანსენდება“.

გარდა იმისა, რომ ეს რელიგიური უმცირესობის დისკრიმინაცია და მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა, იგი ალვივებს შეუწყნარებლობას რელიგიური უმცირესობების, კერძოდ, სექტანტების მიმართ. მეტიც, ამ სტატიაში ხდება განზოგადება და განურჩევლად ეხება ნებისმიერ სექტას და სექტანტს.

2. ეთნიკური უმცირესობების ნეგატიური გაშუქების მაგალითია 2010 წლის 1-7 მარტის გაზეთ „ასავალ-დასავალში“ №9 (805) გამოქვეყნებული სტატია „საქართველოს დაქცევა – შე-სრუ-ლე-ბ-უ-ლი-ა!!!“ მთელი სტატიის პათოსი შეურაცხყოფელია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის. ავტორი მათ მხოლოდ სარკაზმით და დამცინავი ტონით მოიხსენიებს. აშკარაა, რომ სტატიის ავტორი საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად მიიჩნევს და თვლის, რომ მათი უფლებები არ უნდა უტოლდებოდეს ეთნიკური ქართველების უფლებას. სტატიის ავტორისთვის მიუღებელია ის შელავათები (ე.წ. პოზიტიური დისკრიმინაცია), რომლითაც ეთნიკური უმცირესობები ისარგებლებენ.

„მრავალეთნიკურ ქართველ ერს“ სააკაშვილმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა: საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს წელს პირველად ექნებათ საშუალება, ისარგებლონ სპეციალური კვოტებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას. ეს მათ წაახალისებს, რათა მიიღონ უმაღლესი განათლება, გახდნენ ჩვენი ქვეყნის უფრო კონკურენტუნარიანი მოქალაქეები, გახსნილი შესაძლებლობებით და თვითრეალიზაციის დიდი ასპარეზით“.

დიახ, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ეთნიკურ უმცირესობებს კვოტებს უყოფენ უმაღლეს სასწავლებლებში! ქართველები უზარმაზარ გადასახადებს ვერ იხდიან და სწავლა-განათლებაზე უარს ამბობენ, ეთნიკურ უმცირესობებს კი ფართოდ უხსნიან უმაღლესი სასწავლებლების კარებს!

მოკლედ, სოროსის გეგმა შესრულებულია!”

ასეთი გაშუქება აძლიერებს სტერეოტიპებს, ქსენოფობიურ განწყობებს და ალვივებს შეუწყნარებლობას.

3. გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ამავე ნომრის სტატიაც - „ელიზბარ ჯაველიძე: ამ ხელისუფლების უმრავლესობა გვარგადაკეთებული, გენეტიკური სომხები არიან, რომლებიც

მალე ჯავახეთის გასხვივებასაც აპირებენ!“ - ეთნიკური უმცირესობის გაშუქების ნეგატიური მაგალითია.

„ამ ხელისუფლებაში უმრავლესობა გვარგადაკეთებული, გენეტიკური სომხები არიან, რომლებიც მალე ჯავახეთის გასხვივებას აპირებენ! ბოკერია წარმოშობით ქართველია, მაგრამ ბევრ გვარგადაკეთებულზე უარესია!“

მართალია, ეს სიტყვები ჟურნალისტს არ ეკუთვნის და მათ საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილი ადამიანი, ელიზბარ ჯაველიძე, წარმოთქვამს, მაგრამ რედაქციის მხრიდან მცდელობაც კი არ ყოფილა, რომ განემარტა მსგავსი განცხადებების ქსენოფობიური, შეურაცხყოფელი გამონათქვამები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების მიმართ. ეს არის ეთნიკური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაციის დაუშვებლობის სტანდარტის უხეში ღარღვევა.

4. ასევე ნეგატიურად არის ეთნიკური უმცირესობები გაშუქებული „ჯორჯიან ტაიმის“ (№08 (574); 4-11/03, 2010) ინტერვიუში იაკობ ახუაშვილთან: საქართველო ახალი მსოფლიო წესრიგის მიერ შედგენილ 1990 წლის ახალ რუკაზე შეტანილი აღარაა. ბევრი ქალაქი გადაშენდება რა გვარი და რა ეროვნება? მთლიანად მოიშლება ეროვნულობის კვალი. ამ გეგმის განხორციელება დაიწყო 1995 წლიდან. როცა კონსტიტუციიდან გააქრეს ცნება “ერი”.

„79-კაციანმა კომისისამ, რომელიც გვარიშვილობის საკითხს იკვლევს, თითქმის დაამთავრა ქართული გვარ-სახელების ისტორიის შესწავლა. ჩვენ ვმუშაობთ იმ ადამიანებისთვის, ვინც ღირსია, თორემ მთავრობაში მოკალათებული, ქართულ ტანსაცმელში გადაცმული მანქურთებისთვის ხელსაც არ გავანძრევ. პრეზიდენტი და მთავრობა მწყრადაა საგვაროვნო პოლიტიკასთან. უბრალოდ, საკუთარ თავს იზღვევენ. არ უნდათ, რომ გოგორიანცობა, გაბაონობა გამჟღავნდეს, ბაქრაძეობა თუ არველაძეობა წყალში არ ჩაეყაროს, შაშკინობა და პოლოლიკაშვილობა სანატრელი არ გაუხდეთ.“

5. გაზეთში „კვირის პალიტრა“ (№9 (813); 1-7 მარტი, 2010) დაბეჭდილი სტატია „ოსები უკვე ინაწილებენ სახლებს ყაზბეგში და აგარაკებს გუდაურში“ შეიძლება ჩაითვალოს ეთნიკური უმცირესობების ნეგატიური გაშუქების მაგალითად.

წერილმა, რომელიც ჩრდილო ოსეთში მცხოვრებმა, ორგანიზაცია "დარიალის" ყოფილმა წევრმა გამოუგზავნა "კვირის პალიტრას", შეგვძრა.

"არ ვიცი, როგორ მოგმართოთ ან რა გითხრათ, როგორ მოგეფეროთ. მე სულითა და გულით ქართველი ვარ და მიყვარს ჩემი სამშობლო, რომელიც არ მინახავს. უფლება არა მაქვს, არ მიყვარდეს ჩემი ქვეყანა. მისმა სიყვარულმა გადამაწყვეტინა ამ ბარათის დაწერა.

ჩემი წინაპრები დადიანებთან ერთად გადასახლებულან ჩრდილო ოსეთში. მე ოსეთში დავიბადე და გავიზარდე. როდესაც ქართველებსა და ოსებს შორის ომი ატყდა, ვლადიკავკაზში ვცხოვრობდი. შარშან ჩემმა მეგობარმა ოსმა ქალმა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში მუშაობს, შემომთავაზა, გაწვევრებულიყავი ორგანიზაცია "დარიალში". მაშინ უარი ვუთხარი. დაახლოებით ოთხი თვის წინ კი ისევ შემომთავაზა გაწვევრება. როგორც მითხრა, ამ ორგანიზაციაში გაწვევრებული ყოფილან პატრიოტი ოსები და თუ მეც გავხდებოდი წევრი, მომცემდნენ ბინას ყაზბეგში, კოტეჯსა და მიწას კი გუდაურში. დავინტერესდი და დავთანხმდი. შეხვედრები უნივერსიტეტში, საღამოს 9-დან 12 საათამდე იმართებოდა.

პირველივე შეხვედრაზე ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ვლადიკავკაზის თითქმის ყველა ცნობილ პირს მოეყარა თავი. აქ იყვნენ საქართველოში მცხოვრები სომხების წარმომადგენლები, ასევე ერევნიდან ჩამოსული სომხები. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა, რა მიზანი ჰქონდა ამ შეხვედრებს და რატომ გვთავაზობდნენ ორგანიზაციის წევრებს ბინებს ყაზბეგში და ვილებს - გუდაურში. იანვრის შეხვედრაზე ისეთი რამ შევიტყვე, თავს მოვალედ ვთვლი, ჩემს ქვეყანას შევატყობინო. ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს, წაჰგლიჯოს საქართველოს ყაზბეგის რაიონი თრუსოს ხეობითურთ და გუდაური. აქვთ რუკები და პროექტები, სადაც ჩამოყალიბებულია, როგორ უნდა შეუერთდეს თრუსოს ხეობის გავლით ცხინვალის მხარე კობსა და გუდაურს. მე ეს ამბავი საგანგაშოდ მეჩვენა.

სომხეთის წარმომადგენლები შეხვედრაზე ოსებს შეჰპირდნენ, რომ შეადგენენ დოკუმენტებს, თითქოს სომხეთის ისტორიულ წყაროებში აღმოაჩინეს, რომ ყაზბეგის რაიონი ალანთა ძირძველი მიწაა, საიდანაც ოსები ქართველმა მეფეებმა განდევნეს. აი, ამ დოკუმენტით აპირებენ "თავიანთი მიწის" დაბრუნებას. როგორც სომხეთის წარმომადგენლებმა განუმარტეს დამსწრეებს, საქართველოს ისტორია სომხური წყაროების მონაცემებზეა შექმნილი.

ასევე განიხილეს, როგორ და როდის უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი. ოსები ლარსის გზის გახსნას ელოდებიან. იციან, რომ კობსა და თრუსოს ხეობის სოფლებში ოსთა საცხოვრებელი სახლები გამარცხულია. როდესაც ლარსი გაიხსნება, ოსები შევლენ სოფლებში და დაიწყება შეჯახება ოსებსა და ყაზბეგის მოსახლეობას შორის, რაც კონფლიქტის საუკეთესო პირობა იქნება. ამ გეგმით ოსები რუსეთის დახმარებით დაიკავებენ ყაზბეგის რაიონს, თრუსოს ხეობასა და გუდაურს. სხდომაზე დაისვა საკითხი: გახსნიდა თუ არა საქართველო 1-ელ მარტს ლარსის გზას. როგორც სომხეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, გზა აუცილებლად გაიხსნება, რადგან სომხეთს საქართველოს პრეზიდენტისთვის ათეულობით მილიონი დოლარი აქვს გადახდილი სომხეთში ვიზიტის დროს.

ჩემო ძვირფასო ქართველებო! გამოიჩინეთ გონიერება, არ დაუშვათ ლარსის გზის გახსნა. მაქსიმალურად შეუშალეთ ხელი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას ლარსის გზის გახსნის შესახებ. ეს დამღუპველი იქნება საქართველოსთვის.

ამ ბარათს რომ მიიღებთ, ვლადიკავკაზში აღარ ვიქნები. უცხოეთში მივემგზავრები. მე რუსეთში ვერ ვიცხოვრებ. ეს წერილი ერთმა კეთილმა ადამიანმა დამაწერინა. მე ქართული არ ვიცი.

თქვენი ქართველი

თითქოს ეს ერთი შეხედვით ქვეყნისადმი „კეთილგანწყობილი“ წერილი თესავს შუღლს ქართველებსა და სომხებს და ქართველებსა და ოსებს შორის, ასევე, აღვივებს ქსენოფობიურ განწყობებს. გარდა ამისა, აქ სხვა პროფესიული სტანდარტიც არის დარღვეული – ეს არის ანონიმური წყაროს წერილი, რომლის სანდოობაც ძალზე საეჭვოა, და რედაქციას, როგორც ჩანს, არც უცდია გადაემოწმებინა წერილში მოტანილი განცხადებების ნამდვილობა, მსგავსი შეხვედრის გამართვის ალბათობა ან სხვა ფაქტობრივი ინფორმაცია, რაც დაადასტურებდა ანონიმური წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და დამაჯერებლობას შესძენდა მას.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად

6. სტანდარტის დაურღვევლად არის გაშუქებული ეთნიკური უმცირესობის, კერძოდ, ეთნიკური სომხების საკითხი 3 მარტის გაზეთ „რეზონანსში“ 054 (6280) გამოქვეყნებულ სტატიაში „რუსეთში მცხოვრები სომხები სამცხე-ჯავახეთში ავტონომიას ითხოვენ“. ეს სტატია ნეიტრალური გაშუქების მაგალითია.

7. ასევე ნეიტრალურად არის გაშუქებული იმავე „რეზონანსში“ (№054 (6280); 3.03.2010) ეთნიკური უმცირესობა სტატიაში „სასამართლომ მეზოვეების სარჩელი არ დააკმაყოფილა“:

„გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ყოფილი თანამშრომლების ასია აჯიევას, მერაბ ჯაოევისა და ჟანა მახოევას საქმეზე სასამართლო განაჩენი გამოცხადდა. როგორც მოსარჩელე მხარის ადვოკატმა, ირანდა მანდარიამ განაცხადა, სასამართლომ დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და დაზარალებულთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ადვოკატის განცხადებით, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო არც მოწმის ჩვენებები და სასამართლო პროცესი ტენდენციურად წარიმართა.“

აღსანიშნავია, რომ პირველად ამ საკითხის გაშუქებისას (22 იანვრის ნომერში) გაზეთში ნახსენები იყო მეზოვეების ეთნიკური წარმომავლობა. ამჯერად, გაზეთმა თავი აარიდა მათი წარმომავლობის ხსენებას და ისე გააშუქა საკითხი, რაც პოზიტიური ტენდენციის მაჩვენებელია.

8. ასევე ნეიტრალური გაშუქების მაგალითია „რეზონანსის“ ამავე ნომერში (№054 (6280); 3.03.2010) სტატია „ნიკა ჩიტაძე: ლარსის გახსნა ჯავახეთის საკითხზე დადებითად აისახება“.

9. 2 მარტი გაზეთი „რეზონანსი“ № 053(6279) პროფესიული სტანდარტის დაურღვევლად გადმოგვცემს სომხების მიერ მარნეულის მკვიდრის გატაცების ფაქტს.

10. კიდევ ერთი ნეიტრალური გაშუქების მაგალითია სტატია „ჭაერის მოქალაქეები დახმარებას ითხოვენ“ გაზეთში „თავისუფალი სიტყვა“ №35 (125); 28.02-7.03, 2010, რომელშიც მოთხრობილია აფხაზური ოჯახის პრობლემების შესახებ.

11. ეთნიკური უმცირესობების პოზიტიური გაშუქება გვხვდება გაზეთში „კვირის პალიტრა“ (№9 (813); 1-7 მარტი, 2010). სტატიაში „ჩემი ნება რომ ყოფილიყო, გრიგოლიას არც ერთ გადაცემას არ გაგუშვებდი“ წერია:

ამას წინათ ერთ ბაკურიანელ უკრაინელს ვესაუბრე. მე-19 საუკუნეში საქართველოში ჩამოსახლებული უკრაინელის შთამომავალი აღმოჩნდა. წმინდა რუსული შეკითხვა დავუსვი, რატომ არ მიდიხარ უკრაინაში-მეთქი? იცით, როგორ იწყინა? რატომ უნდა წავიდე უკრაინაში, საქართველო ჩემი სამშობლოა, ეს ქვეყანა, მისი მიწა და მთები მიყვარს. ოსები, რომლებიც ჩრდილო ოსეთში იყვნენ გაქცეული, უკან, ბაკურიანში ბრუნდებიან. საქართველოში ადამიანებთან ურთიერთობის სხვა ფორმულაა ჩამოყალიბებული. მისი საიდუმლო კი ის არის, რომ საქართველოში ადამიანს არა ეთნიკური კუთვნილების, არამედ მხოლოდ მისი ღირსების მიხედვით აფასებენ.

12. ასევე პოზიტიური გაშუქების მაგალითად ჩაითვლება ტელეკომპანია „იმედის“ 4 მარტის 20 საათიანი „ქრონიკის“ ერთ-ერთი სიუჟეტი მიუხედავად იმისა, რომ ეს პოზიტიური სიუჟეტი მომზადდა გადაცემის საპასუხოდ, რომლის წამყვანმაც უხეშად დაარღვია ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის პროფესიული სტანდარტი. ეს გადაცემა - „სიმართლის დრო“ არ შედის ჩვენი მონიტორინგის ფარგლებში და ამიტომ არ შეგვიტანია

ჩვენ ანგარიშში. „ქრონიკის“ ეს სიუჟეტი აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი წარმოადგენს იმ ძალზე იშვიათ გამონაკლისს, როდესაც მედიასაშუალება საჯაროდ იხდის ბოდიშს პროფესიული სტანდარტის დარღვევაზე.

„თიბისი თივი სტუდიოს“ გადაცემაში „სიმართლის დრო“ ჯიჯი რეჯინთან დასმული შეკითხვის გამო სტუდია ბოდიშს იხდის. სტილისტის სტუმრობისას ერთ-ერთი კითხვა ეთნიკურ წარმომავლობას შეეხებოდა. შერცხვენია თუ არა მას სომხური წარმომავლობის? – ამ შეკითხვამ საქართველოში მცხოვრები სომეხი მოქალაქეების გაღიზიანება გამოიწვია. „თიბისი თივი სტუდიო“ არაკორექტული კითხვის დასმის გამო სომეხი მოქალაქეების წინაშე ბოდიშს იხდის.

კითხვა, რომელიც დაესვა ჯიჯი რეჯინს, რომელიც ეხებოდა მის სომხურ წარმომავლობას, არანაირად არ ისახავდა მიზნად ეთნიკური უმცირესობების, ჩვენი მოძმე სომხების დისკრედიტაციას და რაიმე სხვა უარყოფით შეხებას. ეს არის ერთადერთი კითხვა „სიმართლის დროს“ ისტორიაში, რომელსაც ჩვენ ვაღიარებთ, რომ რა თქმა უნდა შეიძლებოდა ამ ნათქვამის ორაზროვნად ინტერპრეტაცია და ის ადამიანები, რომლებიც შეწუხდნენ, მე მათ მინდა ვუთხრა, რომ ჩვენც რა თქმა უნდა მათ აზრს გავითვალისწინებთ და შევეცდებით რომ ასეთი ტიპის კითხვები აღარ იყოს სიმართლის დროში.“



თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.